

საქნახშირი

პრესრელიზი

„საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ ჯამბულ ჯაყელი უხელმძღვანელებს

2016 წლის 22 მარტს შპს „საქნახშირის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე ჯამბულ ჯაყელი დაინიშნა, რომელიც დღემდე შპს „გლობალტრანსის“ დირექტორის პოზიციას იკავებდა. ჯამბულ ჯაყელი წლების განმავლობაში სს „მადნეულსა“ და შპს „კვარციტში“ სხვადასხვა სამსახურებს ხელმძღვანელობდა. 2009 წლიდან მადნეულის წარმოების დირექტორი იყო, 2011 წლიდან პარალელურად კვარციტის დირექტორობაც შეითავსა. 2015 წლიდან „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ წევრი გახდა.

ჯამბულ ჯაყელს ნედლეულის მოპოვების დარგში 32 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს. სპეციალობით სამთო ინჟინერია, დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტის 2 ფაკულტეტი.

22.03.16

შპს „საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“ დაარსდა 2006 წლის აპრილში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების 100%-იანი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიმიგურის და მინდელის სახელობის მადარობები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. აღნიშნულ რეგიონში ლიცენზირებული მარაგის ჯამური მოცულობა არის 331 მილიონი ტონა, ხოლო ვალეს საბადოს მურა ნახშირის მარაგი კი - 76 მილიონი ტონა.

